



კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა "დიპლომირებული მედიკოსი/PBL"
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსი
ფაკულტეტის დასახელება	მედიცინის ფაკულტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/კოორდინატორი	ნანა შავლაყაძე, მედიცინის დოქტორი, აწსუ პროფესორი e-mail: nanashavlakadze@gmail.com +995 599 101 863
პროგრამის ხანგრძლივობა/ მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის "დიპლომირებული მედიკოსი/PBL" ხანგრძლივობა განისაზღვრება 6 აკადემიური წლით, პროგრამის მოცულობა კრედიტებში – 360 კრედიტი (1კრედიტი - 25 სთ.), პროგრამა სრულდება კომპლექსური საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებით. კურიკულუმი აგებულია 12 სემესტრზე. კრედიტების სემესტრული რაოდენობა - 30.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	პროგრამის აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი: 680099. 22.06.2021
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	
<ul style="list-style-type: none"> <li>- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი-ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები;</li> <li>- ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:             <ul style="list-style-type: none"> <li>ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;</li> <li>ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;</li> <li>გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.</li> </ul> </li> <li>- გარე და შიდა მობილობა.</li> </ul> <p>შენიშვნა: უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის საჭიროა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებით განსაზღვრული ეკვივალენტური დოკუმენტის არსებობა.</p>	
პროგრამის საჭიროება /აქტუალობა	
<p>აწსუ მედიცინის ფაკულტეტზე დიპლომირებული მედიკოსის მოსამზადებელი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა "მედიცინა+PBL" ხორციელდება 2015 წლიდან (პროგრამის აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი: № 59, 15.07. 2015), თუმცა, 1995 წლიდან დღემდე დიპლომირებული მედიკოსების მომზადებას ასევე უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო პროგრამა "სამკურნალო საქმე". საგანმანათლებლო პროგრამა "მედიცინა+PBL", რომელიც შეიქმნა ტემპუსის 30519-TEMPUS-1-2012-1-UK-TEMPUS-JPCR საგრანტო პროექტის ფარგლებში, წინადადებული ნაბიჯი იყო ქართული საგანმანათლებლო სივრცისათვის, რადგან პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გაზიარებული და ათვისებული იქნა თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილება და მიდგომები, პროგრამაში დაინერგა სწავლების ახალი მეთოდები, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა დარგში განათლების განვითარება-გაუმჯობესებაზე.</p> <p>წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა "დიპლომირებული მედიკოსი/PBL" გახლავთ ზემოთხსენებული ორი პროგრამის მოდერნიზებული ვარიანტი, მასში გათვალისწინებულია მოქმედი საკანონმდებლო და საუნივერსიტეტო რეგულაციები, პროგრამა შესაბამისობაშია მედიცინის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან (დამტკიცებული სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძ. №10, 03.01.2018) და მასში ასახულია 2015 -2019 წლების განმავლობაში მედიცინის</p>	

ფაკულტეტზე სწავლა-სწავლებასა და შეფასებაში, კურიკულუმის შინაარსის განვითარებასთან მიმართებაში დაგეგმილი და პროგრამული აკრედიტაციის პილოტირების რეჟიმში შეფასებული და იმპლემენტირებული ცვლილებები: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პილოტირების რეჟიმში აწესებული მედიცინის ფაკულტეტზე დაიგეგმა და განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი (6 დეკემბერი 2017), საგანმანათლებლო პროგრამის „მედიცინა + PBL“ განმავითარებელი შეფასების მიზნით, ექსპერტთა პანელის შემადგენლობა: Mr. Bruno Cardinaud (Chair of the Panel), Ms. Liliana Rogozea, Ms. Nino Chikladze, Mr. Vakhtang Tebidze.

საგანმანათლებლო პროგრამა გამოირჩევა: პრობლემაზე დაფუძნებული და პაციენტზე ორიენტირებული მიდგომით, კლინიკური, კომუნიკაციური და კვლევის უნარების, როგორც მნიშვნელოვანი კომპონენტის, განვითარების აუცილებელი მოთხოვნით, სტუდენტთა ინტერესებისა და მომავალი კარიერული განვითარებისთვის არჩევანის მეტი შესაძლებლობით.

წინამდებარე პროგრამა გამოირჩევა პროგრამის ბაზისური და კლინიკური საგნების ინტეგრირების ხარისხის გაზრდით, სწავლების პირველივე წლიდან კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავების შესაძლებლობით, სწავლების (CBL, PBL, CBL) და შეფასების ახალი მეთოდების (OSCE, OSPE, DOPS) დანერგვით, სოციუმისა და სტუდენტის მოთხოვნებზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპით, პროფესიონალური განვითარების ასპექტებით.

**პროგრამის მიზნები**

მოამზადოს დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების, მტკიცებითი მედიცინის ღრმა საფუძვლიანი ცოდნა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მუშაობისათვის საჭირო კლინიკური ჩვევები. ასევე მორალური ღირებულებებისა და ეთიკური პრინციპების სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენებისა და დაცვის უნარი, იქნება მოწოდებული მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და პროფესიული განვითარებისათვის და აქტიურად ჩაერთვება ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტიანობის ხელშეწყობ პროცესებში, თავისი საქმიანობით წვლილს შეიტანს მოსახლეობის ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში.

პროგრამის ამოცანაა – სასწავლო კურსების შინაარსის/მოცულობის, ასევე სწავლებისა და სწავლის იმგვარი ორგანიზება, რომელიც ხელს შეუწყობს:

- საბაზისო სამედიცინო, სოციალურ და კლინიკურ მეცნიერებებში თანამედროვე ცოდნის მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებული საფაკულტეტო, სავალდებულო კლინიკური და არჩევითი კურსების შესწავლას;
- სწავლების შესაბამისი საფეხურისთვის აუცილებელი კლინიკური უნარ-ჩვევების და მულტი-პროფესიულ გარემოში პაციენტზე ორიენტირებული კომპეტენციების გამომუშავებას;
- სამეცნიერო და კლინიკური სიახლეების კრიტიკული შეფასების უნარის განვითარებას და მათ გამოყენებას კლინიკური პრობლემის გადასაწყვეტად;
- სამედიცინო კონტექსტში კომუნიკაციის უნარ-ჩვევების შექმნას;
- ჯანდაცვის სისტემის საკანონმდებლო საფუძვლების ცოდნას;
- მომავალი პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებების აღზრდას;
- უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და პროფესიული ზრდის აუცილებლობის გაცნობიერებას და განვითარებისთვის მზადყოფნას.

შენიშვნა: პროგრამა უზრუნველყოფს რა ფუნდამენტური სამედიცინო დისციპლინების შესწავლას, აკადემიური და პროფესიული კომპეტენციების გამომუშავება/განვითარებას, შესაბამისად იძლევა კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობას.

**სწავლის შედეგები**

ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებული ახდენს ბიოსამედიცინო, ქცევითი, სოციალური და კლინიკური მეცნიერებების, ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას, კომპლექსური კლინიკური პრობლემების კრიტიკული გააზრებით;
უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია: <ul style="list-style-type: none"> <li>• კლინიკური შემთხვევების, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების, შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, შესაბამისი სამკურნალო საშუალებებისა და სხვა სამკურნალო ღონისძიებების კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირება; მკურნალობის პოტენციური სარგებელისა და რისკის შეფასება;</li> <li>• კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება, პაციენტისაგან ინფორმაციის/ანამნეზის შეკრების ჩათვლით. ასევე ფიზიკური გამოკვლევის წარმოება, საჭირო დიაგნოსტიკური პროცედურების შერჩევა და მათი შედეგების</li> </ul>

	<p>ინტერპრეტირება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მულტიდისციპლინურ ჯგუფში მუშაობა, როგორც რიგით წევრს, ასევე ლიდერს; ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი საქმიანობის კოორდინაცია და ჯგუფის წევრთა შესაძლებლობების ადეკვატური შეფასება, კონფლიქტური და ფორსმაჟორული სიტუაციების მართვა;</li> <li>• ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობა როგორც ინდივიდის, ისე პოპულაციის დონეზე;</li> <li>• სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი სპეციფიური მეთოდის გამოყენებით, კვლევის არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული ანალიზი, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დიაგნოზის ჩამოყალიბება და დასაბუთება, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;</li> <li>• სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია, კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის, პროფესიული კომუნიკაციის უნარ-ჩვევების ჩვენება.</li> <li>• პროფესიული სუბორდინაციის დაცვა, დროის მენეჯმენტი, შეთანხმებული სამუშაოს შესრულება, შესრულებულ სამუშაოზე პასუხისმგებლობის აღება, მისი შეფასება და კრიტიკა (ახალ გარემოსთან ადაპტაციისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარი).</li> </ul>
<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამედიცინო კონტექსტში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა, პაციენტის უფლებების დაცვა და იმ დამოკიდებულებების დემონსტრირება, რომელიც საჭიროა პაციენტთა დახმარების მაღალი სტანდარტის მისაღწევად;</li> <li>• პაციენტთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ხელმძღვანელობს სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით, პატივს სცემს მათ არჩევანს, აღიარებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და ავტონომიას;</li> <li>• მონაწილეობს რა ღირებულებების ფორმირების პროცესში, ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.</li> <li>• დარგის განვითარებაში წვლილის შეტანა; საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვა, თვითშეფასება და თვითგანვითარება.</li> </ul>
<p>დარგობრივი კომპეტენციები</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. დარგობრივი ცოდნა: ბიოსამედიცინო, ქცევითი, სოციალური, კლინიკური მეცნიერებების ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირება და კრიტიკული გააზრება, მოლეკულურ, უჯრედულ და სისტემურ დონეზე ადამიანის განვითარების აღწერა, ორგანიზმის ნორმალური სტრუქტურის კლასიფიცირება, ნორმალური მეტაბოლიზმისა და ნორმალური იმუნური ფუნქციის ახსნა; დაავადებების მექანიზმების ახსნა, პათოლოგიური სტრუქტურის აღწერა, წამლების დანიშვნის პრინციპების ანალიზი და გამოყენება, დაავადებების პრევენცია და მკურნალობა;</li> <li>2. პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა - ანამნეზის შეკრება; ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება; კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება; განმარტებების და რჩევების მიცემა; პაციენტის მხარდაჭერა და მისი უფლებების დაცვა; პაციენტის ფსიქოემოციური მდგომარეობის სტატუსის შეფასება.</li> <li>3. კლინიკური შემთხვევის შეფასება გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა: კლინიკური მანიფესტაციის სირთულის გაცნობიერება და შეფასება; შესაბამისი გამოკვლევების დანიშვნა და შედეგების ინტერპრეტაცია; დიფერენციული დიაგნოზის გატარება; პაციენტებთან და მათ მომვლელებთან დაავადების მართვის გეგმის განხილვა; ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტზე და მის ოჯახზე ზრუნვა; ქრონიკული დაავადების მართვა.</li> <li>4. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა: გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და შეფასება (DRSABCDE); გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების მკურნალობა; ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით; გაიდლაინების შესაბამისი ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება; გაიდლაინების შესაბამისი გაფართოებული სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებების</li> </ol>



- ჩატარება; ტრავმების მკურნალობა გაიდლაინების შესაბამისად.
5. მედიკამენტების გამოწერა - კლინიკურ კონტექსტთან დაკავშირებით მედიკამენტების გასაგებად და სწორად გამოწერა ასაკობრივი ასპექტების გათვალისწინებით; მედიკამენტური და სხვა სახის მკურნალობის პაციენტისთვის პოტენციური სარგებელისა და რისკის შეფასება; ტკივილისა და დისტრესის მკურნალობა; მედიკამენტოზური მკურნალობის დანიშვნა რაციონალური და უსაფრთხო ფარმაკოთერაპიის, ფარმაკოეკონომიკის უსაფრთხოების პრინციპების გათვალისწინებით;
6. პრაქტიკული პროცედურების ჩატარება: საბაზისო კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება, პაციენტისაგან ინფორმაციის/ანამნეზის შეკრების ჩათვლით. ასევე ფიზიკური გამოკვლევის წარმოება, საჭირო დიაგნოსტიკური პროცედურების შერჩევა და მათი შედეგების ინტერპრეტირება; სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა, წნევის გაზომვა, ვენეპუნქცია (სიმულატორზე); ვენაში კათეტერის ჩადგმა (სიმულატორზე); სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება (სიმულატორზე ან ზედამხედველობით), ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში (სიმულატორზე ან ზედამხედველობით); ჟანგბადის მიწოდება პაციენტების ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა; ნაკერის დადება (სიმულატორზე); შარდის ბუმტის კათეტერიზაცია (სიმულატორზე); შარდის ანალიზის გაკეთება (სკრინინგ-ტესტები და-Dipstick); ელექტროკარდიოგრამის გადაღება; ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაცია; სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება.
7. სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია - პაციენტთან, კოლეგებთან, პაციენტის ნათესავებთან, უნარშეზღუდულ პირებთან, კომუნიკაცია ცუდი ამბის შეტყობინებისას; კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მისაღებად; წერილობით კომუნიკაცია (სამედიცინო ჩანაწერების ჩათვლით); კონფლიქტის შემთხვევაში კომუნიკაცია; კომუნიკაცია დამხმარე პირის საშუალებით; კომუნიკაცია სამართალდამცავ ორგანოებსა და მასმედიასთან; ეფექტური კომუნიკაცია ნებისმიერ პირთან, განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა.
8. სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება- მკურნალობის დროს ეთიკის პრინციპების და ანალიზის უნარის გამოყენება; კონფიდენციალობის დაცვა; მკურნალობისას საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის გამოყენება; სამედიცინო საქმიანობის წარმართვა მულტიკულტურულ საზოგადოებაში.
9. პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება - დაავადების გამოვლინებისა და პაციენტზე ზემოქმედების ფსიქო-სოციალური ფაქტორების შეფასება; დაავადებასთან დაკავშირებული სტრესის დადგენა; ალკოჰოლზე და წამალზე დამოკიდებულების დადგენა.
10. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება - მტკიცებულებების გამოყენება პრაქტიკაში; შესაბამისი ლიტერატურული კვლევის სწორად განსაზღვრა და ჩატარება; გამოქვეყნებული ლიტერატურის კრიტიკული შეფასება, დასკვნების გამოტანა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება.
11. სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება - კლინიკური ჩანაწერების სწორად წარმოება და სრულად შენახვა; პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება; სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიება; ინფორმაციის შენახვა და შემდეგ მისი გამოყენება; პირადი ჩანაწერების შენახვა.
12. სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება: აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიური ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით.
13. ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება,

საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა - მკურნალობის ჩატარება, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს პაციენტისთვის ზიანის მიყენების რისკი; ინფექციის გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების გატარება; საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერება და პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებით საკუთარი ჯანმრთელობის შეფასება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში ექიმის როლის განსაზღვრით ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობა, როგორც ინდივიდის, ასევე პოპულაციის დონეზე, უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, ინციდენტობისა და პრევალენტობის შესამცირებლად გასატარებელ დაგეგმილ ღონისძიებებს შორის უპირატესობის მინიჭება.

14. პროფესიონალიზმი - ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების გაწევისა და პროფესიული სრულყოფისთვის მზაობა, მიუკერძოებლობისა და პატიოსნების, ემპათიისა და კრეატიულობის, ინიციატივის, თვითდაჯერებული დამოკიდებულებისა და პრაგმატიზმის დემონსტრირება; ეთიკის პრინციპების დაცვა; მუშაობაში საკუთარი შესაძლებლობების ზღვარის გააზრება და დახმარების თხოვნა; მულტიდისციპლინურ გუნდში მუშაობა, ლიდერობა, პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღება, ორგანიზაციული და დაგეგმვის უნარის გამოვლენა.

ექიმი როგორც ექსპერტი: სწავლის, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და სხვისი სწავლების, სამეცნიერო კვლევის უნარის დემონსტრირება, მოკლე და გრძელვადიანი კარიერული განვითარების დაგეგმვა, დასახული მიმართულებით რეალისტური განვითარებისათვის შესაბამისი აქტივობების განხორციელება.

ექიმი გლობალურ კონტექსტში: ადამიანის ორგანიზმისა და ჯანდაცვის სისტემასთან კავშირში განსხვავებული კულტურის, მოსაზრების, წარმოდგენების და პრაქტიკების პატივისცემა; სხვა ქვეყნების კულტურისა და ჩვევების გაცნობიერება; უცხო ენაზე პროფესიულ კონტექსტში კომუნიკაციას ზოგადი არადარგობრივი ცოდნის დემონსტრირება.

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები**

- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) ;
- კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება ( CBL );
- კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული მსჯელობა (CBCR);
- ინტერაქტიური და მოდიფიცირებული ლექციები;
- ლიტერატურის დამუშავება პედაგოგთან უკუკავშირით და მისივე ზედამხედველობით;
- ჯგუფური დისკუსია (მცირე და დიდ ჯგუფებში დისკუსია), პრაქტიკული მეცადინეობები, ლაბორატორიული სწავლება;
- სასწავლო მასალების დემონსტრირება (თეორიული საკითხების ანალიზის საფუძველზე დემოგრაფიული ატლასების, ცხრილებისა და ა.შ.; ჰისტოლოგიური მასალების იდენტიფიცირება);
- კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება სიმულატორების და მულაჟების გამოყენებით;
- „როლური თამაშები“;
- კლინიკურ გარემოში სწავლება;
- სწავლება პაციენტის საწოლთან;
- პაციენტზე ორიენტირებული სწავლება;
- კვლევაში მონაწილეობის მიღება;
- ლიტერატურის მიმოხილვა, ესეს/პრეზენტაციის/პოსტერის მომზადება/წარდგენა;
- კლინიკური უნარების ტრენინგი -კლინიკური სესია;
- კომუნიკაციური უნარების სესიები;
- სამედიცინო კანონმდებლობის და ეთიკის სესიები;

**პროგრამის სტრუქტურა**

პროგრამის სტრუქტურა თან ერთვის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო ერთსაფეხურიანი პროგრამა "დიპლომირებული მედიკოსი/PBL", ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, გათანაზრებულია მაგისტრის დონესთან, პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე და მოიცავს 360 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა შეადგენს 6 წელს ანუ 12 სემესტრს.

პროგრამა აგებულია პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპზე - სწავლება და სწავლა კონტექსტში, როცა სტუდენტის ქმედება თანდათანობით ემსგავსება პროფესიონალი (ექიმის) ქმედებებსა და გადაწყვეტილებებს. ეს არის პრობლემაზე დაფუძნებული და პაციენტზე ორიენტირებული მიდგომა. კლინიკური და კომუნიკაციური უნარები აღიარებულია, როგორც მნიშვნელოვანი კომპონენტი; კვლევა კი განიხილება, როგორც ინტეგრირებული სწავლების აუცილებელი მოთხოვნა.

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია (როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად), ინტეგრირებულია საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებები, მათი მხარდამჭერი კურსებით, სოციალური მეცნიერებებით, რაც აუცილებელია თანამედროვე ექიმის ზოგადი პროფესიული განათლების მიღების/ ხელშეწყობისთვის; რითაც ხდება დიპლომირებული მედიკოსის სტუდენტისთვის კლინიკური უნარ-ჩვევების და სამეცნიერო კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფა.

სასწავლო პროგრამა მედიცინის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად მოიცავს:

- სავალდებულო კურსებს - 338 (ECTS), მათ შორის:

სამეცნიერო უნარ-ჩვევების გამომუშავებას ეთმობა - 13 კრედიტი (ECTS) და ითვალისწინებს: (ბიოსტატისტიკა, სამედიცინო ინფორმატიკა, კვლევითი უნარ-ჩვევები ეპიდემიოლოგია, მტკიცებითი მედიცინა და კვლევის პროცესი, საკურსო ნაშრომი/ კვლევის მეთოდები) სტუდენტების ჩართვას სამეცნიერო საქმიანობაში.

კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას სათანადო კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორიაში ეთმობა - 10 კრედიტი (ECTS).

- არჩევითი კურსები - 22 კრედიტი (ECTS), მათ შორის, 12 კრედიტის მოცულობით ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებებს: ფილოსოფია, ხელოვნებისა და რელიგიის ისტორია, ქართულ და მსოფლიო კულტურა, კულტურული მრავალფეროვნება; ბიზნესის მართვა, პაციენტის, შრომითა და საერთაშორისო უსაფრთხოება, უცხო ენის დამატებითი კურსები.

PBL სწავლების მეთოდი PBL სესიის (ტუტორიალის) ფორმატში აძლიერებს პროგრამის ინტეგრირების ხარისხს და უზრუნველყოფს დიპლომირებული მედიკოსის სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევის შესაძლებლობას სწავლების პირველი წლიდანვე.

პროფესიული განვითარების მოდულები: პროფესიული ასპექტები -1, 2, 3,4 . (კლინიკური ეთიკა, პირველადი ჯანდაცვის სერვისების გაცნობა, კომუნიკაცია ჯანდაცვაში, აკადემიური წერა, დროის მენეჯმენტი, სამედიცინო ფსიქოლოგია, ქვევითმეცნიერება, ხარისხის მართვა, საექიმო სამართალი და სასამართლო მედიცინა) ანვითარებს კომუნიკაციურ უნარებს, პიროვნულ ცნობიერებასა და საკუთარ თავზე ზრუნვას, მულტიდისციპლინარულ გუნდში მუშაობის პროფესიულ ქცევასა და ეთიკის პრინციპების ანალიზისა და გამოყენების უნარს.

პოპულაციის ჯანმრთელობის მოდულები: პოპულაციის ჯანმრთელობა - 1, 2 (ზოგადი ჰიგიენა, ბიოსტატისტიკა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, პრევენციული მედიცინა) ავითარებს ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობის უნარს.

ინტეგრირებულ კურიკულუმში სწავლების 6 წლიანი პერიოდი მოიცავს 4 ეტაპს (საბაზისო სამედიცინო მეცნიერებების, პრეკლინიკური, კლინიკური მედიცინის და ზოგადი სპეციალიზაციის).

პროგრამის ორგანიზაციული სტრუქტურა პირობითად იყოფა შემდეგ საფეხურებად:

I წელი	პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება	საბაზისო სწავლების ეტაპი
II წელი		საბაზისო სწავლების ეტაპი
III წელი		პრეკლინიკური სწავლების ეტაპი
IV წელი		კლინიკური სწავლების ეტაპი
V წელი		კლინიკური სწავლების ეტაპი
VI წელი		სპეციალიზაციის ეტაპი კლინიკურ გარემოში

I ეტაპი

საბაზისო - პროგრამის ეს ნაწილი, უპირატესად, ორგანიზებულია მოდულური სწავლებით, რომელშიც ჩასმულია ერთეული სასწავლო კურსი და მოიცავს:

- სხეულის სისტემებს /სტრუქტურა და რეგულაცია/- 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 რომელიც მოიცავს ორგანიზმის

უმთავრესი სისტემების სტრუქტურას, ფუნქციას და ეფუძნება ორგანიზმის სისტემათა ირგვლივ საბაზისო სამედიცინო მეცნიერებათა ჰორიზონტალურ ინტეგრაციას - 53 კრედიტი

- ბიოსამედიცინო მეცნიერებებს - მოლეკულური ბიოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია, ზოგადი ჰისტოლოგია, ბიოფიზიკა - 14 კრედიტი;
- პროფესიულ ასპექტებს 1,2,3 (კლინიკური ეთიკა, პირველადი ჯანდაცვის სერვისების გაცნობა, დროის მენეჯმენტი, კომუნიკაცია ჯანდაცვაში, სამედიცინო ფსიქოლოგია, ქვევითმეცნიერებები), რომელიც სტუდენტს აცნობს პირველადი ჯანდაცვის სისტემაში არსებულ სერვისებს, კომუნიკაციას ჯანდაცვაში, კლინიკური ეთიკის საკითხებს, დროის მართვის ცოდნას; ამით სტუდენტს კლინიკური და კვლევითი უნარების გამომუშავების შესაძლებლობას - სულ 15 კრედიტი.
- აქვეა ინტეგრირებული მიკრობიოლოგია და იმუნოლოგია (11 კრედიტი), რაც სტუდენტს ორგანიზმში განვითარებული ინფექციური და ზოგადად დამაზიანებელი პროცესების მექანიზმსა და პროფილაქტიკის საკითხებში ღრმად გარკვევისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს უმუშავებს.

სპირალური კურიკულუმის ფარგლებში აღნიშნული მოდულების ფარგლებში მიღებული ცოდნა შემდგომ რევიზირდება და სისტემებზე დაფუძნებული სწავლება კონსოლიდირდება სწავლების მომდევნო ეტაპებზე.

ამდენად, სახელწოდება საბაზისო-სამედიცინო მეცნიერებების ეტაპი მხოლოდ პირობითია, ვინაიდან იგი შეიცავს კლინიკური მედიცინისა და პოპულაციის ჯანმრთელობაზე ფოკუსირებულ საკითხებს ორგანიზმულს სპეციალურ მოდულებში და გულისხმობს მომავალი ექიმისთვის უმნიშვნელოვანესი პროფესიული ასპექტების გაცნობას; შესაბამისად, იწყება ექიმის და მომავალი პერსონალური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სამედიცინო ეთიკის საფუძვლების მიწოდება, რაც ხელშეწყობილია სწავლების PBL ფორმატით ქეისებზე დაფუძნებით (PBL კვირებში). პროგრამის ამ ეტაპზე ორგანიზებულია 8 PBL კვირა, სამკურნალო დიაგნოსტიკურ დაწესებულებებსა და კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორიაში პრობლემასთან (PBL სესია) დაკავშირებული კლინიკური უნარ-ჩვევების გამომუშავების შესაძლებლობით.

## II ეტაპი

პრეკლინიკური სწავლების ეტაპი - ძირითადად ორგანიზებულია ადამიანის ავადობასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტების გაცნობიერებაზე, როგორცაა: პათოლოგია, დაავადებათა პათოლოგია, დაავადებათა განვითარებისა და მკურნალობის მექანიზმები, აღნიშნულის შეფასებისათვის ფიზიკური დიაგნოსტიკის მეთოდების ათვისებით, სწავლების PBL ფორმატით ქეისებზე დაფუძნებით, რაც უზრუნველყოფს საბაზისო ეტაპზე მიღებული ცოდნის ინტეგრირებას დაავადებათა განვითარების მიზეზების, ფუნქციური დეფიციტისა და მკურნალობის მექანიზმებში გარკვევისათვის.

- დიაგნოსტიკის ზოგადი პრინციპები 1, 2 - 15 კრედიტი;
- დაავადების მექანიზმები და მკურნალობა 1,2 - 17 კრედიტი;
- ქირურგიის ზოგადი ნაწილი, ანატომია კლინიკური კორელაციებით - 8 კრედიტი

## III ეტაპი

კლინიკური სწავლების ეტაპი - ძირითადად ორგანიზებულია ადამიანის ჯანმრთელობასა და ავადობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ასპექტების გაცნობიერებაზე, რასაც ემსახურება: ქირურგია, სიცოცხლის ციკლი, სიცოცხლის სტრუქტურა, სიცოცხლის დაცვა, სიცოცხლის კონტროლი, სიცოცხლის მხარდაჭერა და უზრუნველყოფა, სწავლების ფორმატში ჩასმულია შესაბამისი PBL კვირები (სულ 114 კრედიტი)

- ქირურგია (აბდომინალური, თორაკო და ანგიოქირურგია, უროლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, ტრავმატოლოგია, ბავშვთა ქირურგია, ნეირო, კარდიო და პლასტიკური ქირურგიების მოკლე კურსები) - 21 კრედიტი;
- სიცოცხლის კონტროლი 1,2 (ნევროლოგია, ფსიქიატრია, რეაბილიტაცია, ოფთალმოლოგია) - 14 კრედიტი;
- სიცოცხლის უზრუნველყოფა 1 (კარდიოლოგია, პულმონოლოგია) - 10 კრედიტი;
- სიცოცხლის მხარდაჭერა 1,2 (გასტროენტეროლოგია, ენდოკრინოლოგია, ნუტრიციოლოგია, ნეფროლოგია, უროლოგია) - 14 კრედიტი;
- სიცოცხლის დაცვა 2 (ინფექციური დაავადებები, ვირუსოლოგია, პარაზიტული დაავადებები, იმუნური დაავადებები, ალერგოლოგია, ონკოლოგია, რადიოთერაპია, ჰემატოლოგია) - 24 კრედიტი;
- სიცოცხლის ციკლი 1, 2, 3, 4 ( სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ტერატოლოგია და ანტენატალური მოვლა; პედიატრია 1, 2, 3 და ნეონატოლოგია, ახალშობილთა დაავადებები; ფიზიოლოგიური და პათოლოგიური მეანობა, გინეკოლოგია, გინეკოლოგიური დაავადებები და პროფილაქტიკა, ონკოგინეკოლოგია, ექსტრაგენიტალური პათოლოგიები და ორსულობა, გადაუდებელი მდგომარეობები მეანობა-გინეკოლოგიაში, გერიატრია) - 34 კრედიტი;
- სიცოცხლის სტრუქტურა (ტრავმატოლოგია-ორთოპედია, რევმატოლოგია) - 6 კრედიტი.



სწავლების ეს უმნიშვნელოვანესი ეტაპი კლინიკურ გარემოში სწავლებითა და პდს სასწავლო კვირებით ორგანიზებითა (სულ 18 PBL კვირა) და სწავლების პრეკლინიკურ ეტაპზე მიღებული ცოდნის "კონტექსტში გაცნობიერების" გზით (ანამნეზი, სიმპტომები, გამოკვლევები, ინტერპრეტაცია, მენეჯმენტი, პაციენტთან კომუნიკაციის და პოპულაციური ჯანმრთელობის საკითხები, ა. შ.) იმპლემენტირდება და რეალიზდება კლინიკურ გადაწყვეტილებაში.

#### IV ეტაპი

სპეციალიზაციის ეტაპი - ემსახურება კლინიკური მედიცინის სწავლებას როტაციებით, როდესაც ხდება სწავლების წინა ეტაპებზე დაგროვილი ცოდნისა და უნარების გადატანა/რეალიზება კლინიკურ გარემოში დამოუკიდებელი საქმიანობისათვის მოსამზადებლად:

- კლინიკური მედიცინა 1, 2 (სინდრომული დიაგნოსტიკა შინაგან მედიცინაში, კლინიკური ფარმაკოლოგია, სამედიცინო შეცდომები) - 26 კრედიტი;
- საოჯახო მედიცინა - 4 კრედიტი;
- სიცოცხლის უზრუნველყოფა - 2 (ანესთეზიოლოგია-რეანიმაცია, ტკივილის მართვა, პალიატიური მედიცინა - 10 კრედიტი);
- პროფესიული ასპექტები - 4 (ხარისხის მართვა, სასამართლო მედიცინა, სამედიცინო სამართალი) - 6 კრედიტი.

#### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება თანამედროვე ინდიკატორების გამოყენებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №785 (05.01.2007), №3 (21.09.2009) და 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ზ ბრძანებებით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებით (№12; 30.10.2009; დადგენილება №35; 10.11.2010, № 1, 17/18 15.09. 2017)) განსაზღვრული პრინციპებით.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებებს, რაც, თავის მხრივ, მოიცავს ლექცია-პრაქტიკუმებზე სტუდენტის დასწრებისა და ყოველდღიური აკადემიური აქტიურობის კომპონენტს (გამოკითხვა, დისკუსია, ტესტირება, პრეზენტაცია, ესე), ტუტორიალზე გამოჩენილ აქტიურობას, პრაქტიკული უნარების შეფასებას და მიმდინარე შეფასებას. შუალედური შეფასება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა კომპონენტებსაც.

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელს შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას და არ აქვს გაცდენილი საკონტაქტო საათების რაოდენობის 50%- ზე მეტი.

სასწავლო კურსის/მოდულის/საგნობრივი ბლოკის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 40 ქულა. შეფასების მეთოდებიდან ძირითადად გამოიყენება: ტესტური, ზეპირი ან კომბინირებული შემაჯამებელი გამოცდა, OSCE-ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა.

არსებობს ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა.) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ.) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ.) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ.) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე.) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასებას:

ბ.ა.) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ.) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 20 ქულით.



საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

პროგრამის შემადგენელი მოდულების შეფასება წარმოებს ქულებით, როგორც ჯამურად, ისე ცალკეული საგნობრივი ბლოკების მიხედვით კრედიტების, ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) გამოყენებით.

- MCQ – ტესტები მრავალი არჩევითი პასუხით, სტუდენტი ირჩევს ერთ საუკეთესო პასუხს მოცემული შესაძლო პასუხებიდან;
- OSCE – ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა/სტუდენტები ასრულებენ სტრუქტურირებული ამოცანების ჩამონათვალის მიხედვით დავალებებს, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პრაქტიკულ პროცედურებს, ინტერვიუების მეთოდებს ან მონაცემთა ინტერპრეტაციას;
- OSPE - ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა, გამოიყენება, როგორც შეფასების ობიექტური ინსტრუმენტი პრეკლინიკურ კურსებში;
- Mini-CS - კლინიკური ქეისები, ხდება დაკვირვება სტუდენტებზე, მათი სტანდარტიზებულ და/ან რეალურ პაციენტთან ურთიერთობაზე, სადაც ისინი ასევე პასუხობენ გამოცდელის მიერ დასმულ კითხვებზე;
- DOPS – პროცედურულ უნარებზე პირდაპირი დაკვირვება, თუ როგორ ასრულებენ ცალკეულ პროცედურებს კომპეტენტურობის დასამტკიცებლად (მაგ: წნევის გაზომვა ა. შ.);
- CBD – ქეისებზე დაფუძნებული დისკუსიები, სტუდენტებს უსვამენ კითხვებს სტრუქტურირებული გზით, იმ ქეისებზე, რომელშიც ისინი აქტიურად არიან ჩართული.
- პორტფოლიო - მტკიცებულებათა ნაკრები, რომელიც აჩვენებს სტუდენტთა უნარს მიღებული გამოცდილების, მათ პირადი პერსონალური განვითარებისთვის და სწავლისთვის როგორ გასცენ და მიიღონ კონსტრუქციული კრიტიკა.
- ორალური პრეზენტაციები ან პოსტერები შესრულებული სპეციალურ სასწავლო მოდულებში, ჟურნალის სტატიაზე კრიტიკული შეფასების დაწერა (საკურსო ნაშრომი);
- პაციენტის მონაცემთა ინტერპრეტაცია;

შენიშვნა: აკადემიური პატიოსნების საუნივერსიტეტო პოლიტიკის მიხედვით ნაშრომი არ გასწორდება თუ გამოვლინდა აკადემიური არაკეთილსინდისიერების მაგალითები. აწსუ აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის კოდექსი განმარტავს აკადემიური არაკეთილსინდისიერების დარღვევის ფორმებს (პლაგიატი, თვითპლაგიატი, ფალსიფიკაცია) და მათზე რეაგირების მექანიზმებს.

#### დასაქმების სფეროები

საქართველოს კანონის „საექიმო საქმიანობის შესახებ“ თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს:

- ✓ უფლება აქვს გაიაროს რეზიდენტურის კურსი და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება;
- ✓ იმუშაოს უმცროს ექიმად ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან და სამედიცინო მომსახურებასთან;
- ✓ განახორციელოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა მედიცინის თეორიულ დარგებში და/ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სხვადასხვა პოსპიტალი და ა.შ.);
- ✓ დასაქმდეს ნაციონალურ და საერთაშორისო ფარმაცევტულ კომპანიებში და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრებში.
- ✓ კურსდამთავრებულს უფლება აქვს გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში;

#### სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები / რესურსები

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კომპეტენციის ადგილობრივი და მოწვეული პედაგოგები. სათანადოდ მომზადებული ტუტორები (ტემპუსის 30519-TEMPUS-1-2012-1-UK-TEMPUS-JPCR პროექტის „Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients“ ფარგლებში მომზადებული და სერტიფიცირებული).

სასწავლო პროცესის წარმართვისათვის გამოიყენება უნივერსიტეტის სასწავლო და სალექციო აუდიტორიები და

სპეფიციური ე.წ. პდს ოთახები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული კაბინეტები (კლასები), რაც სტუდენტებს აძლევს ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას. პროგრამით გათვალისწინებული პდს სწავლება უზრუნველყოფილია ტემპუსის გრანტის ფარგლებში შექმნილი პარტნიორი უნივერსიტეტების მოხმარებისათვის გამიზნული online ბიბლიოთეკით; სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ფოსტა, რომლის მეშვეობით ისინი მჭიდრო კავშირში არიან აკადემიურ პერსონალთან და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან. ასევე კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორია. კლინიკური დისციპლინების სწავლება მიმდინარეობს შესაბამის კლინიკურ ბაზებზე, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები.

უნივერსიტეტის მიერ 2014 წელში გამოყოფილი, რეაბილიტირებული და თანამედროვე სასწავლო/სამეცნიერო ტექნოლოგიებით იქნა აღჭურვილი (ტემპუსის თანადაფინანსება გამოყენებული იქნა ე.წ. ჰკვიანი დაფა/პროექტორების შესაძენად!) დამოუკიდებელი ე. წ. PBL კორპუსი, რომლის საერთო ფართი არის 437 კვ.მ. იგი მოიცავს სპეციალიზირებულ პდს, სასწავლო და სალექციო ოთახებს. კორპუსში მუშაობს მაღალ სიჩქარიანი ინტერნეტი, რომელშიც online რეჟიმში ელექტრონული და დისტანციური ლექციების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია პაციენტის საწოლთან კლინიკური გამოცდილების მიღებისთვის ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებელი შემდეგი სამკურნალო-დიაგნოსტიკური დაწესებულებები:

- სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ - დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრი,
- სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ - იმერეთის რეგიონული კლინიკური საავადმყოფო
- სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ - ტრენინგ ცენტრი
- სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ - წმ. ნიკოლოზის სახ.ქირურგ. ცენტრი
- შპს „ბომონდი“
- შპს „XXI საუკუნე“
- შპს ცაგარეიშვილის სამედიცინო ცენტრი
- ფსიქოსოციალური ცენტრი
- ნაზარიშვილის სახელობის საოჯახო მედიც. ცენტრი
- ქუთაისის №3 ბავშვთა პოლიკლინიკა
- შპს კლინიკა ლ&ჯ
- ქუთაისის №3 ბავშვთა პოლიკლინიკა
- მულტიპროფილური ჰოსპიტალი „მედიქალ სითი“
- თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი

**დანართი 1**

- პროგრამის სტრუქტურა
- კურიკულუმის რუკა /I - გაცნობა/ introduced, P - გაღრმავება / practice/development- reinforcement, M - განმტკიცება mastery/

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
 მედიცინის ფაკულტეტი  
 სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო  
 დიპლომირებული მედიკოსი/PBL  
 2021-2027 სასწავლო წელი

(I–XII სემესტრი)

N	კურსი	კვირული დატვირთვა/კლინ.	ლ/პრ/ს/ლაბორატორია	კრედიტები	საათების რაოდენობა			სემესტრები						წინაპირობები				
					სულ	საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI					
1	<b>პროფესიული ასპექტები -1</b>																	
	პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიმოხილვა	4	15/45	5	125	60/5	60	5										
	დროის მენეჯმენტი																	
	კლინიკური ეთიკა																	
2	<b>გენი, უჯრედი, ქსოვილი 1</b>																	
	მოლეკულური ბიოლოგია	6	30/60	8	200	90/5	105	8										
	ორგანიზმის განვითარება და ზოგადი ჰისტოლოგია																	
	PBL კვირა										1	25	12/2.	11	1			
3	<b>ორგანიზმის ფუნქციები</b>																	
	ფიზიოლოგიის შესავალი ნაწილი	4	17/34/5	6	150	56/5	89	6										
	ზოგადი ბიოქიმია																	
4	<b>ორგანიზმის სისტემები 1</b>																	
	ძვალ-კუნთოვანი სისტემა	5	26/52	5	125	78/5	42	5										
	PBL კვირა										1	25	12/2.	11	1			
5	უცხო ენა 1	4	0/60	4	100	60/5	35	4										
	<b>სულ</b>								<b>23</b>		<b>30</b>	<b>750</b>	<b>397</b>	<b>353</b>	<b>30</b>			
6	<b>ორგანიზმის სისტემები - 2</b>														2,3			
	ნერვული სისტემა, გრძნობათა ორგანოები, კანი	9	40/90	9	225	130/5	90		9									
	PBL კვირა									1	25	12/2.	11		1			
7	<b>ორგანიზმის სისტემები - 3</b>														2,3			
	ენდოკრინული სისტემა	4	20/34	4	100	54/5	41		4									

	PBL კვირა			1	25	12/2.	11		1				
8	<b>პროფესიული ასპექტები - 2</b>												1
	კლინიკური უნარები 1	3	0/45	5	125	45/5	75		5				
	კომუნიკაცია ჯანდაცვაში												
9	<b>გენი, უჯრედი, ქსოვილი 2</b>												2
	სამედიცინო გენეტიკა და მემკვიდრული დაავადებები	4	30/30	5	125	60/5	60		5				
	სამედიცინო ბიოფიზიკა			1	25	12/2.	11		1				
10	<b>უცხო ენა 2</b>	4	0/60	4	100	60/5	35		4				5
	<b>სულ</b>	<b>24</b>		<b>30</b>	<b>750</b>	<b>416</b>	<b>334</b>		<b>30</b>				
11	<b>ორგანიზმის სისტემები - 4</b>												2,3
	სასუნთქი სისტემა	6	20/60	8	200	80/5	115		8				
	PBL კვირა			1	25	12/2.	11		1				
12	<b>ორგანიზმის სისტემები - 5</b>												2,3
	კარდიო-ვასკულარული სისტემა	7	31/62	8	200	93/5	102		8				
	PBL კვირა			1	25	12/2.	11		1				
13	<b>პოპულაციის ჯანმრთელობა - 1</b>												
	ბიოსტატისტიკა	4	20/30	5	125	50/5	70		5				
	ჰიგიენა												
14	<b>პროფესიული ასპექტები - 3</b>												8
	სამედიცინო ფსიქოლოგია	2	10/20.	4	100	30/5	65		4				
	ქცევათმეცნიერება												
15	<b>უცხო ენა - 3 სამედიცინო ინგლისური</b>	3	0/45	3	75	45/5	25		3				10
	<b>სულ</b>	<b>22</b>		<b>30</b>	<b>750</b>	<b>351</b>	<b>399</b>		<b>30</b>				
16	<b>ორგანიზმის სისტემები - 6</b>												2,3
	საჭმლის მომნელებელი სისტემა	6	25/60	8	200	85/5	110		8				
	PBL კვირა			1	25	12/2.	11		1				
17	<b>ორგანიზმის სისტემები - 7</b>												2,3
	რეპროდუქციული და საშარდე სისტემები	4	25/40	7	175	65/5	105		7				
	PBL კვირა			1	25	12/2.	11		1				
18	<b>სიცოცხლის დაცვა - 1</b>												2
	იმუნოლოგია	9	45/90	9	225	135/5	85		9				
	მიკრობიოლოგია			1	25	12/2.	11		1				
	PBL კვირა												
19	<b>არჩევითი კურსი - 1</b>	1	5/15.	3	75	20/5	50		3				
	<b>არჩევითი კურსის ჩამონათვალი - 1</b>												
19.1.	ფილოსოფია												



19.2.	მედიცინის ისტორია													
19.3.	რელიგიის ისტორია													
19.4.	ხელოვნების ისტორია													
	<b>სულ</b>	<b>20</b>		<b>30</b>	<b>750</b>	<b>320</b>	<b>430</b>					<b>30</b>		
20	<b>დიაგნოსტიკის ზოგადი პრინციპები - 1</b>													4,6,7,11,12,16,17
	ფიზიკალური გამოკვლევა 1	5	15/60	8	200	75/5	120					8		
	კლინიკური უნარები 2													8
	PBL კვირა			1	25	12/2.	11					1		
21	<b>დაავადების მექანიზმები და მკურნალობა - 1</b>													18
	პათოლოგია- 1	6	30/60	7	175	90/5	80					7		
	ფარმაკოლოგია 1													
	PBL კვირა			1	25	12/2.	11					1		
22	<b>კვლევის უნარები - 1</b>													13
	ეპიდემიოლოგია													
	მტკიცებითი მედიცინა და კვლევითი პროცესი, აკადემიური წერა.	5	25/50	6	150	75/5	70					6		
23	<b>პოპულაციური ჯანმრთელობა - 2</b>													13
	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	3	15/30	4	100	45/5	50					4		
	პრევენციული მედიცინა													
24	არჩევითი კურსი - 2	2	5/15.	3	75	20/5	50					3		
	<b>არჩევითი კურსის ჩამონათვალი - 2</b>													
24.1.	სამედიცინო მარკეტინგი													
24.2.	ბიზნეს პროექტების მართვა													
24.3.	ჰოსპიტალური მენეჯმენტი													
24.4.	საინფორმაციო ტექნოლოგიები													
	<b>სულ</b>	<b>21</b>		<b>30</b>	<b>750</b>	<b>358</b>	<b>392</b>					<b>30</b>		
25	<b>დიაგნოსტიკის ზოგადი პრინციპები - 2</b>													20
	ორგანიზმის სისტემების შეფასება													
	ლაბორატორიული კვლევა	9	30/90	8	200	120/5	75					8		
	კლინიკური უნარები 3													
	PBL კვირა			1	25	12/2.	11					1		
26	<b>დაავადების მექანიზმები და მკურნალობა - 2</b>													21
	პათოლოგია 2	6	30/60	8	200	90/5	105					8		
	ფარმაკოლოგია 2													
	PBL კვირა			1	25	12/2.	11					1		
27	ქირურგია - 1													4, 6,7,11,12,16,17

	ანატომია კლინიკური კორელაციებით	6	30/60	8	200	90/5	105						8
	ზოგადი ქირურგია												
	PBL კვირა												
28	არჩევითი კურსი - 3	2	5./15.	3	75	20/5	50						3
<b>არჩევითი კურსის ჩამონათვალი - 3</b>													
28.1.	შრომის უსაფრთხოება												
28.2.	პაციენტის უსაფრთხოება												
28.3.	საერთაშორისო უსაფრთხოება												
28.4.	საერთაშორისო სამედიცინო და ჯანდაცვის ორგანიზაციები												
	<b>სულ</b>	<b>23</b>		<b>30</b>	<b>750</b>	<b>382</b>	<b>368</b>						<b>30</b>

№	კურსი	დღიური ხანგრძლივობა	ლ/პრ	კრედიტები	საათების რაოდენობა			სემესტრები							
					სულ	საკონტაქტო	დამოუკიდებელი	VII	VIII	IX	X	XI	XII		
29	<b>ქირურგია - 2</b>														27
	აბდომინალური	10	10/30	3	75	40/5	30	3							
	PBL კვირა			1	25	12/2.	11	1							
30	<b>სიცოცხლის უზრუნველყოფა - 1</b>														11,12,25,26
	კარდიოლოგია კარდიოქირურგიის მოკლე კურსით	25	25/75	7	175	100/5	70	7							
	პულმონოლოგია														
	PBL კვირა			1	25	12/2.	11	1							
31	<b>სიცოცხლის კონტროლი</b>														25,26
	ნევროლოგია ნეიროქირურგიის მოკლე კურსით														
	ფსიქიატრია	30	30/60	7	175	90/5	80	7							
	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია														
	PBL კვირა			1	25	12/2.	11	1							
32	<b>სიცოცხლის ციკლი - 1</b>														25,26
	სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა														
	ფიზიოლოგიური მუშაობა, ანტენატალური მოვლა	35	35/80	7	175	115/5	55	7							
	ნეონატოლოგია														
	PBL კვირა			1	25	12/2.	11	1							

33	არჩევითი კურსი - 4	5	5/15	2	50	20/5	25	2										
33.1.	მსოფლიო კულტურა																	
33.2.	ქართული კულტურა																	
33.3.	კულტურული მრავალფეროვნება - ინგლისურ ენაზე																	
	<b>სულ</b>	<b>100</b>		<b>30</b>	<b>750</b>	<b>392</b>	<b>263</b>	<b>30</b>										
34	<b>ქირურგია - 3</b>																	25,27
	ანგიოქირურგია	10	10/30	4	100	40/5	55		4									
	თორაკოქირურგია																	
	PBL კვირა			1	25	12/2.	11		1									
35	<b>სიცოცხლის დაცვა - 2</b>																	18
	კლინიკური იმუნოლოგია-ალერგოლოგია																	
	რევმატოლოგია	25	25/75	7	175	100/5	70		7									
	PBL კვირა			1	25	12/2.	11		1									
36	<b>სიცოცხლის ციკლი - 2</b>																	32
	გინეკოლოგია																	
	პათოლოგიური მეანობა	30	30/80	7	175	110/5	60		7									
	პედიატრია 1																	
	PBL კვირა			1	25	12/2.	11		1									
37	<b>სიცოცხლის მხარდაჭერა - 1</b>																	25,26
	გასტროენტეროლოგია																	
	ენდოკრინოლოგია	21	21/63	6	150	84/5	61		6									
	ნუტრიციოლოგია																	
	PBL კვირა			1	25	12/2.	11		1									
38	არჩევითი კურსი - 5	5	5/10	2	50	15/5	30		2									
	<b>არჩევითი კურსის ჩამონათვალი - 5</b>																	
38.1.	სტომატოლოგია																	
38.2.	დემოგრაფიული მიდგომები																	
38.3.	ტუბერკულოზი და გულმკერდის დაავადებები																	
38.4.	გულის რითმის მონიტორინგი																	
	<b>სულ</b>	<b>91</b>		<b>30</b>	<b>750</b>	<b>430</b>	<b>320</b>		<b>30</b>									
39	<b>სიცოცხლის დაცვა - 3</b>																	35
	დერმატო - ვენეროლოგია	15	15/45	6	150	60/5	85		6									
40	<b>სიცოცხლის დაცვა 4</b>																	35
	ინფექციური დაავადებები პარაზიტოლოგიით	20	20/60	7	175	80/5	90		7									
	PBL კვირა			1	25	12/2.	11		1									





48.2.	რეზისტენტობა																		
48.3.	გარემოს მედიცინა																		
48.4.	სამედიცინო ინგლისური/გერმანული 2																		
	<b>სულ</b>	<b>80</b>		<b>30</b>	<b>750</b>	<b>396</b>	<b>354</b>						<b>30</b>						
49	<b>კლინიკური მედიცინა -1</b>																		30,31,32,35,36,37, 39,40,41,42,44
	სიმპტომები და სინდრომები შინაგან მედიცინაში																		
	კლინიკური ფარმაკოლოგია /ტოქსიკოლოგია																		
	PBL კვირა																		
50	<b>საოჯახო მედიცინა</b>	15	15/45	4	100	60/5	35							<b>4</b>					30,31,32,35,36,37, 39,40,41,42,44
51	<b>პროფესიული ასპექტები - 4</b>																		14
	ხარისხის მართვა მედიცინაში																		
	სასამართლო მედიცინა	15	15/30	6	150	45/5	100							<b>6</b>					
	სამედიცინო სამართალი																		
52	<b>საკურსო ნაშრომი</b>	15	0/30	5	125	30/5	90							5					22
53	არჩევითი კურსი - 8	5	5/15	2	50	20/5	25							2					
	<b>არჩევითი კურსის ჩამონათვალი - 8</b>																		
53.1.	სპორტული მედიცინა																		
53.2.	კოსმეტოლოგიური დერმატოლოგია																		
53.3.	ადამიანის უფლებები																		
53.4.	სადაზღვევო მედიცინა																		
	<b>სულ</b>	<b>90</b>		<b>30</b>	<b>750</b>	<b>354</b>	<b>396</b>							<b>30</b>					
	<b>სიცოცხლის უზრუნველყოფა - 2</b>																		25,26,49
54	ანესთეზიოლოგია რეანიმაცია																		
	ტკივილის მართვა	25	25/75	10	250	100/5	145								10				
	პალიატიური მედიცინა																		
	PBL კვირა			2	50	24/4	22								2				
	<b>კლინიკური მედიცინა -2</b>																		49
55	კლერკშიპი																		
	სამედიცინო შეცდომები / პდს	20	20/205	15	375	225/5	145								15				
56	არჩევითი კურსი - 9	5	5/15	3	75	20/5	50												
	<b>არჩევითი კურსის ჩამონათვალი - 9</b>																		
56.1.	ინტერვენციული კარდიოლოგია																		
56.2.	დამოკიდებულების მედიცინა																		
56.3.	ექიმი და პაციენტი																		

56.4.	ვერტებროლოგია												
	სულ	50	30	750	388	362						30	
	ჯ ა მ ი		360	9000	4726	4274						360	

